სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/128

ქ. თბილისი

20 აგვისტო 2021 წ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებული სახით

დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის № 133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის №110 ოქმისა და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 20 აგვისტოს №01-05-02/24 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს:
   1.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "ბუღალტრული აღრიცხვა";
   1.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "მეფუტკრეობა";
   1.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "მევენახეობა";
   1.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "ინფორმაციული ტექნოლოგიის მხარდაჭერა".
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, № 64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**